

მრავალმხრივი მიდგომა უკრაინის აღსადგენად: ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაცია (ALDA), CORLEAP-ის დელეგაცია და ჩეხეთის პრეზიდენტობა

გახდი პანელის „უკრაინის აღდგენა“ მონაწილე

ლოკალიზაცია და დეცენტრალიზებული თანამშრომლობა წარმოადგენს გარდამტეხ ფაქტორსა და პოზიტიურ მიდგომას დემოკრატიულ პროცესში აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნებში. რიგი საკითხების გათვალისწინებით, მათ შორის უკრაინაში მიმდინარე შეჭრის, სომხეთის მიერ გადატანილი ომის და იმ ზეწოლის, რომელსაც მოლდოვა აწყდება ენერგომომარაგების კუთხით, ისმის კითხვა თუ რა გზით იქნება შესაძლებელი აღნიშნულ გამოწვევებთან გამკლავება?

ადგილობრივი ხელისუფლების, მუნიციპალიტეტების და მოქალაქეების მდგრადობაზე დაფუძნებული რეკონსტრუქციის პროცესის დაწყება არა მხოლოდ აუცილებელი პირობაა, არამედ ის გზაც, რომელიც უნდა გაიარო კრიზისის დროს. ამიტომ, დემოკრატიისა და რეკონსტრუქციის პროცესში ჩართული თითოეული მოთამაშის როლის გათვალისწინება აუცილებელია აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში არსებული მდგომარეობის გასაგებად.

CORLEAP-ის მე-11 ყოველწლიური შეხვედრის მეორე დღესვე, „ჩეხეთის რესპუბლიკის ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების კავშირმა“ მოაწყო **საერთაშორისო კონფერენცია**, რომელიც მიზნად ისახავდა ევროკავშირის მუნიციპალიტეტების დაკავშირებას აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან. როგორც იხსენებს **პეტრ განდალოვიჩი**, ჩეხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განვითარების დახმარების დეპარტამენტის დირექტორი და მეორე პანელის – „უკრაინის აღდგენა“ – მოდერატორი, – „**რეკონსტრუქციის ოთხ დონეზე გამახვილდა ყურადღება: საერთაშორისო; ეროვნული; ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისა და მოქალაქეების**“.

რეკონსტრუქცია განხორციელდება ადგილობრივად, რაც მოითხოვს მრავალმხრივ მიდგომას

ზოგადი თვალსაზრისით, საშინელი ომი და არაადამიანური პირობები, რომლის წინაშეც ახლა უკრაინა დგას, უფრო ფართო კონტექსტში უნდა იქნას გაგებული: *„ეს არ არის მხოლოდ რეგიონული ომი“* – განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ევროპის საკითხებში, **იაროსლავ კურფურსტმა**.

გარდა ამისა, როგორც იხსენებს ევროკომისიის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოებებზე მოლაპარაკებების საკითხებში გენერალური დირექტორატის წარმომადგენელი, **გეორგ ზიგლერი**, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული კანდიდატის სტატუსი, ისევე როგორც ფინანსური სტაბილურობა: უკრაინას სჭირდება მხარდაჭერა, რათა თავიდან აიცილოს ინფლაცია და არასტაბილური ფინანსური ვითარებით გამოწვეული ნებისმიერი საფრთხე.

თუ საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე, ხელისუფლება და მთავრობები წინ გადადგმულ ნაბიჯს დგამენ, ადგილობრივი დონეც თანაბრად უნდა იყოს *გათვალისწინებული*. "უკრაინამ გააკეთა თავისი არჩევანი" – განაცხადა ანატოლი ფედორუკმა, ბუჩას მერმა, რომელიც ლუგანსკის ოლქის სტარობილსკის მერთან იანა ლიტვინოვასთან ერთად წარმოადგენდა უკრაინის ორ მუნიციპალიტეტს. სწორედ ხალხის ნების და იმ როლის გათვალისწინებით, რომელსაც ისინი ასრულებენ მუნიციპალიტეტებთან, რეკონსტრუქციის პროცესი უნდა დაიწყოს. „*მე მჯერა ჩვენი საერთო გამარჯვებისა და ხაზს ვუსვამ საერთო გამარჯვებას*“ – შეაჯამა ბატონმა ფედორუკმა და ხაზი გაუსვა ევროკავშირის მჭიდრო ჩართულობასა და მხარდაჭერას ამ სიტუაციაში.

ეს ხედვაა გაიზიარა ALDA-ს გენერალურმა მდივანმა ანტონელა ვალმორბიდამ, რომელმაც მაიდანის გახსენებისას ხაზი გაუსვა მოქალაქეების, როგორც „*ამბის მამოძრავებელთა*“ მნიშვნელობას. უფრო მეტიც, [ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების](#) წარმატებულ მაგალითებზე დაყრდნობით, დაწყებული იმ სააგენტოებიდან, რომლებიც ბალკანეთში ომის დასასრულს დააარსდა, ქალბატონი ვალმორბიდა მიემხრო შემდეგ მოსაზრებას: „*რეკონსტრუქცია მოხდება ადგილობრივად, რომელიც მოითხოვს მრავალმხრივ მიდგომას; შრომით და ერთობლივი ძალისხმევით*“.

პანელური გამოსვლა გაიმართა ლიბერეცში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, 2022 წლის 4 ნოემბერს. იხილეთ შეხვედრის დღის წესრიგი.